სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N103

ქ. ბაღდათი 06 აპრილი 2023 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ სსიპ თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტს, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კახა ენუქიძის სახით (ქალაქ ბაღდათი, წერეთლის N9) (შემდგომში"შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ნოვა" (ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რ. აგლაძის ქ., №45, ს/კ 202358126) (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ედიშერ ხიმშიაშვილის მინდობილი პირის კორპორატიული გაყიდვების დირექტორის ალდერ ბოლქვაძის (პ/ნ 61009006312) სახით, რომელიც მოქმედებს 2023 წლის 21 მარტის რწმუნებულების/მინდობილობის საფუძველზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №230358934; რეგისტრაციის თარიღი: 21.03.2023 წ. სანოტარო მოქმედების ინდ. ნომერი: 37231459926223), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის სახსრებით სხვადასხვა სახის ელექტრო მოწყობილობების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული მეთოდით (CPV31600000).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის სახსრებით სხვადასხვა სახის ელექტრო მოწყობილობების შესყიდვა დანართი N1 -ის შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი დასახელებააღწერა, ფასი და რაოდენობა მოცემულია ფასების ცხრილში დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 1555.10 (ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ათი თეთრი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია , რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

5.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.ქუთაისი, ზ.გამსახურდიას N39.

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სასაქონლო ზედნადების ატვირთვა , რომლის საფუძველზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება, სასაქონლო ზედნადების ატვირთვის მომენტიდან, რომლის საფუძველზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი(ვადები) და ადგილი

7.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3 .ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.2.2 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება, რომელიც მხარემ უნდა აცნობოს, წერილობითი ფორმით , მეორე მხარეს.

9.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, 2023 წლის 15 მაისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა

წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულებისშემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს როსტომ რობაქიძე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები შემსყიდველი:

სსიპ“თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი”

ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.№9

ს/კ: 225064471

კოდიTTREGE22

ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.200122900

კახა ენუქიძე

მომწოდებელი:შ.პ.ს.”ნოვა“

ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქ.№45 ს/კ:

202358126

სს„საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი:BAGEGE22

GE93BG0000000778114900

გენერალური დირექტორის ედიშერ
ხიმშიაშვილის მინდობილი პირი
კორპორატიული გაყიდვების დირექტორი
ალდერ ბოლქვაძე (პ/ნ 61009006312)
(სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
№230358934; რეგისტრაციის თარიღი:
21.03.2023 წ. სანოტარო მოქმედების ინდ.
ნომერი: 37231459926223)

Digitally signed by:
Alder Bolkvadze
(61009006312)
Certified by Signify

2023 წლის 06 აპრილს გაფორმებული , გამარტვებული წესით შესყიდვის
შესახებ N 103 ხელშეკრულების დანართი N1

#	არტიკული	შტრიხ-კოდი	დასახელება	რ-ობა	ერთ.	ფასი	თანხა
1	1008637	2000000063249	ელექტრო სადენი პუნპ 2X2.5	100	მეტრი	2,2000	220,00
2	1799352	4606056247534	ავტომატ ამომრთველის ყუთი 12-იანი 290x190x100 IP41 PRIME	1	ცალი	45,3000	45,30
3	1799334	4607055283820	ავტომატური ამომრთველი. BA47-29 2P 63A 4,5кA х-ка C IEK	4	ცალი	22,0000	88,00
4	1026261	4690216192093	როზეტი 1-იანი ხუფით 16ა IP54 სერი EKF	10	ცალი	9,8000	98,00
5	1026260	4690216192055	ჩამრთველი 2-იან IP54 სერი EKF	5	ცალი	9,8000	49,00
6	1819411	8694740100186	ელექტრო გამათბობელი EXP-18 KUMTEL ECORAY MOBILE SIYAH	2	ცალი	129,0000	258,00
7	1824720	8697548140361	ACK 24 ვატიანი ლედ პანელი თეთრი ოთხკუთხედი 6500 კანდელი IP20 ზედა მონტაჟისთვის	20	ცალი	37,2000	744,00
8	1799501	4606056486209	LED პროჟექტორი რუხი 07-50 IP65 IEK	1	ცალი	52,8000	52,80

სულ თანხა: **1 555.10**

შემსყიდველი:
სსიპ "თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი"
ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.№9
ს/კ: 225064471
კოდიTTREGE22
ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.200122900
კახა ენუქიძე

Kakha Enukidze
Digitally signed by Kakha Enukidze
Date: 2023.04.05 23:27:32 +04'00'

მომწოდებელი: შ.პ.ს."ნოვა"
ქ. თბილისი, რ. აგლაძის ქ.№45 ს/კ: 202358126
სს„საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:BAGEGE22
GE93BG0000000778114900

გენერალური დირექტორის ედიშერ
ხიმშიაშვილის მინდობილი პირი
კორპორატიული გაყიდვების დირექტორი
ალდერ ბოლქვაძე (პ/ნ 61009006312)
(სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
№230358934; რეგისტრაციის თარიღი:
21.03.2023 წ. სანოტარო მოქმედების ინდ.
ნომერი: 37231459926223)